

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—ივნისი 2024 წელი**

**ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ტეხურის ქუჩისთვის ექიმ-
ინფექციონისტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, ტეხურის ქუჩას მიენიჭოს ექიმ-ინფექციონისტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე


გიორგი ტყემალაძე

13

ინიშნული შეტყობის მოქმედების შესახებ



საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
GEORGIA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY



MES 6 23 0000669717



09/06/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ საქართველოში სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დამფუძნებელს, თვალსაჩინო მეცნიერსა და პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს ვლადიმერ (ლადო) ბახუტაშვილს.

ვლადიმერ ბახუტაშვილმა აღზარდა სპეციალისტებისა და მეცნიერების მთელი პლეადა, რომლებიც დღეს საქართველოსა და უცხოეთის მოწინავე სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში აგრძელებენ მუშაობას.

ვლადიმერ (ლადო) ივანეს ძე ბახუტაშვილი დაიბადა 1931 წლის 23 მარტს ქ. თბილისში ცნობილი ექიმის - ბალნეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის - ივანე ბახუტაშვილის ოჯახში.

1955 წელს ლადო ბახუტაშვილმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1962 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ინფექციურ დაავადებათა კათედრაზე. 1967 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1978 წლიდან ლადო ბახუტაშვილი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ბიოტექნოლოგიის განყოფილების გამგედ, ხოლო 1980 წლიდან ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

1991 წელს მისი თაოსნობით საქართველოში დაარსდა სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. ვლადიმერ ბახუტაშვილის ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები წერილს თან ერთვის.


ვლადიმერ ბახუტაშვილის სამეცნიერო ინტერესები სხვადასხვა დროს მოიცავდა კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის ისეთ დარგებს, როგორც არის ინფექტოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია და იმუნორეაბილიტაცია, სამედიცინო ბიოტექნოლოგია. მის მიერ შექმნილმა პრეპარატებმა, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სამედიცინო ბიოტექნოლოგიის განვითარებას, საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

აკადემიკოსი ლადო ბახუტაშვილი არის სამი საერთაშორისო პატენტის მფლობელი. ლადო ბახუტაშვილი გარდაიცვალა 2005 წელს.

გთხოვთ, განიხილოთ საკითხი ქალაქ თბილისში, ტანძის ქუჩისთვის - ინფექციურ სნეულებათა კლინიკის მიმდებარედ, სადაც გაიარა მისი მოღვაწეობის უდიდესმა ნაწილმა, ლადო ბახუტაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე.

პატივისცემით,

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია
რექტორი





ვლადიმერ ბახუტაშვილი

(1931-2005)

ქართველი ექიმი, მეცნიერი, ღირსების ორდენის კავალერი

1955 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1957 წლიდან დაიწყო მისი პროფესიული მოღვაწეობა პრაქტიკოსი ექიმ-ინფექციონისტის თანამდებობაზე.

1966 წელს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტში ჩამოაყალიბა ვირუსული და ბაქტერიული ინფექციების განყოფილება, რომელსაც 1972 წლემდე ხელმძღვანელობდა. 1978 წლიდან მუშაობდა ჯერ ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში ბიოტექნოლოგიის განყოფილების გამგედ, ხოლო 1980 წლიდან ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

ვლადიმერ ბახუტაშვილის სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერესების სფერო მრავალმხრივი იყო, მოიცავდა შერეული ინფექციებისა და დიზენტერიის პათოგენეზის, ვირუსულ ინფექციათა გავრცელების, გნოტობიოლოგიის, ორგანოსა და ქსოვილის კულტურების გამოყენების ტრანსპლანტაციური იმუნიტეტის შესწავლას და სხვას.

სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა აპოპტოზისა და ღეროვანი უჯრედების პრობლემებზე. იგი სამასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, რამდენიმე სახის მედიკამენტის, მათ შორის საყოველთაოდ ცნობილი პლაფერონის ავტორია. 1962 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაციის თემაზე — „ტოქსოპლაზმოზი“, 1968 წელსადოქტორო დისერტაციის თემა — „შიგელების უჯრედშიდა პარაზიტირების

მნიშვნელობა და ვირუსული ინფექციების როლი დიზენტერიის პათოგენეზში“, დაიცვა 1968 წელს. იყო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი.

2001 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

მუშაობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში.

გარდაიცვალა 2005 წელს, 73 წლის ასაკში, დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს პანთეონში.